

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## სენატის

2015 წლის 27 ოქტომბრის 93 სხდომის

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 27 ოქტომბრის 93 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. 2015 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების №SS15 2-002 თანახმად, რომელიც ეხება სეზონური სკოლის, 2015 წლის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ პროექტის „მე-2 საერთაშორისო სკოლა: შემოდგომის ლექციები თბილისში – ბირთვული ფიზიკის მედიცინაში“ (ხელმძღვანელი ქეთევან კოტეტიშვილი) დაფინანსებას 45 000 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის სამეცნიერო გრანტების გრაფა გაიზარდოს 45 000 ლარით; ხოლო ხარჯვით ნაწილში გაიწეროს 8 000 ლარი შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, ხოლო 37 000 ლარი გაიწეროს წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში;

2. 2015 წლის 3 აგვისტოს სტუ-ისა და საქართველოს რაგბის კავშირს შორის გაფორმებული ხელშეკრულების №212/15 თანახმად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, რაგბის განვითარებისა და ჩემპიონატში სრულფასოვნად მონაწილეობის მიზნით, გადმოერიცხა 37 500 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 37 500 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს ხელშეკრულებებისა და თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

3. ასევე, სტუ-ის ბიუჯეტი გაიზარდოს როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვით ნაწილში საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტებიდან მიღებული შემოსავლებით, კერძოდ:

3.1. საერთაშორისო პროექტის №543868 – TEMPUS – 1-2013 -1DE – TEMPUS – JPCR (ხელმძღვანელი ოთარ ზუმბურიძე) მოცულობა შედაგენს 88 028 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის საერთაშორისო გრანტების

გრაფა 88 028 ლარით. ხარჯვით ნაწილში 25 151 ლარი გაიწეროს გრანტების შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, ხოლო მივლინების მუხლში გაიწეროს 62 877 ლარი;

3.2. საერთაშორისო პროექტის №372283 – 1-2012 - IPT - ERA MUNDUS EMA21 (ხელმძღვანელი ოთარ ზუმბურიძე) მოცულობა შეადგენს 7 545 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის საერთაშორისო გრანტების გრაფა 7 545 ლარით, ხოლო ხარჯვით ნაწილში 7 545 ლარი გაიწეროს გრანტების შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

3.3. საერთაშორისო პროექტის №545681 – EM - 1-2013 – IPT- ERA MUNDUS EMA 21 (ხელმძღვანელი ოთარ ზუმბურიძე) მოცულობა შეადგენს 3 772 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის საერთაშორისო გრანტების გრაფა 3 772 ლარით, ხოლო ხარჯვით ნაწილში 3 772 ლარი გაიწეროს გრანტების შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

3.4. საერთაშორისო პროექტის №609533 SUARFI – EPC (ხელმძღვანელი დავით თავხელიძე) მოცულობა შეადგენს 100 604 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის საერთაშორისო გრანტების გრაფა 100 604 ლარით. ხარჯვით ნაწილში 37 726 ლარი გაიწეროს გრანტების შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, ხოლო მივლინების მუხლში გაიწეროს 62 878 ლარი;

3.5. საერთაშორისო პროექტის №544091 – TEMPUS – 1 - 2013 – 1 – BE – TEMPUS – JRCR (ხელმძღვანელი თამარ ლომინაძე) მოცულობა შეადგენს 16 522 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის საერთაშორისო გრანტების გრაფა 16 522 ლარით, ხოლო ხარჯვით ნაწილში 16 522 ლარი გაიწეროს გრანტების შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

3.6. სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტსა და გერმანულ კომპანია „LSS“-ს შორის გაფორმებული საერთაშორისო სამეცნიერო ხელშეკრულებისთვის №LSS/400107434/P120D/DE/LD-1 გათვალისწინებულ იქნეს თანხა 16 000 ევრო, ეროვნული ბანკის კურსის შესამაბისი ეკვივალენტით 43 357 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში საერთაშორისო გრანტების გრაფა 43 357 ლარით, ხოლო ხარჯვით ნაწილში 42 002 ლარი გაიწეროს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, ხოლო 1 355 ლარი გაიწეროს სატრანსპორტო ხარჯების გადაზიდვა/გადაყვანის ხარჯების მუხლში;

სულ ზემოაღნიშნული შემოსავლებიდან გამომდინარე, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდოს 342 328 ლარით.

4. საერთაშორისო საგრანტო პროექტის №544605-TEMPUS (ხელმძღვანელი თამარ ლომინაძე) ხელშეკრულებისა და ხარჯთაღრიცხვის თანახმად, სტუ წარმოადგენს თანადამფი-

ნანსებელ ორგანიზაციას 24 508 ლარის ოდენობით (10 350 ევროს ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში). აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ელექტრომომწყობილობები, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლიდან 24 508 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების, სხვა მიმდინარე ხარჯების, სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

5. საერთაშორისო საგრანტო პროექტის №544191-TEMPUS (ხელმძღვანელი ალექსანდრე ედიბერიძე) ხელშეკრულებისა და ხარჯთაღრიცხვის თანახმად, სტუ წარმოადგენს თანადაფინანსებელ ორგანიზაციას 14 277 ევროს ოდენობით. 2015 წლის ბიუჯეტიდან საჭიროა გამოიყოს თანადაფინანსების წილი 8 100 ლარი (3 000 ევროს ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში), რომელიც გამოყენებული იქნება პროექტში დაგეგმილი მივლინებების ხარჯის დასაფარად. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვის არაფინანსური აქტივების ელექტრომომწყობილობები, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლიდან 8 100 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების, სხვა მიმდინარე ხარჯების, სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

6. საფაკულტეტო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვებში განხორცილდეს შიგა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

6.1. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მივლინების მუხლიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის დაქირავებისა და გადაყვანა/გადაზიდვის ხარჯების მუხლში;

6.2. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 11 793 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მუხლში;

6.3. სტუ-ის ბიოტექნოლოგიის ცენტრის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ელექტროენერჯის ხარჯიდან 600 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯების მუხლში;

6.4. სტუ-ის კვების მრეწველობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს პუნქტიდან 8 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; ნორმატიული აქტები, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის შეძენის ხარჯებიდან 5 000 ლარი და ელექტრო ენერჯის ხარჯებიდან 5 000 ლარი, სულ ჯამში 10 000 ლარი, გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში. საწვავ-საპოხი მასალების შეძენის მუხლიდან 1 500 ლარი გადატანილ იქნეს სამეცნიერო ხარჯების მუხლში.

ასევე, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯების მუხლში. არაფინანსური აქტივების

ელექტრომომწობილობების შეძენის მუხლიდან 11 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული;

6.5. სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 1 520 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლში, ხოლო 822 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის მუხლში. შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს ხარჯებიდან 11 807 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

6.6. სტუ-ის გემოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა ცენტრის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საქონელი და მომსახურების, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომელიც არ კლასიფიცირდება საქონელსა და მომსახურების დანარჩენ მუხლში, 4 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

6.7. სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ელექტრომომწობილობების შეძენის მუხლიდან 4 200 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის შეძენის პუნქტში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული მუხლში;

6.8. სტუ-ის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ელექტრომომწობილობების შეძენის მუხლიდან 20 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის შეძენის პუნქტში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული მუხლში;

6.9. სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებიდან 11 000 ლარი გადატანილ იქნეს უნიფორმის შეძენის ხარჯების მუხლში; ხოლო მივლინების მუხლიდან 648 ლარი – სხვა ხარჯების სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების მუხლში (დანართი 6.9);

6.10. სტუ-ის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შიგა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ, შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 11 991 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; მივლინების მუხლიდან – 1 000 ლარი; ელ. ენერჯის ხარჯებიდან – 1 200 ლარი; წყლის ხარჯებიდან – 200 ლარი; სულ 2 400 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის მუხლში; ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა/შენახვის ხარჯებიდან 855 ლარი გადატანილ იქნეს რბილი ინვენტარის, ხალიჩების,

ფარდა-ჯალუზების შეძენის მუხლში; ასევე, წყლის ხარჯებიდან – 300 ლარი, საწვავ-საპოხი მასალის შეძენის ხარჯებიდან – 195 ლარი; სულ 495 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯების მუხლში; ხოლო კავშირგაბმულობის ხარჯებიდან 72 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების ხარჯების მუხლში;

6.11. სტუ-ის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ, შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 27 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

6.12. სტუ-ის დიზაინის საერთაშორისო სკოლის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 2 176 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში;

7. განხორციელდეს შიდა საუნივერსიტეტო 2 საგრანტო პროექტის დაფინანსება ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯებიდან, კერძოდ:

7.1. აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 ივლისის №1531 დადგენილებითა და სენატის 2015 წლის 30 ივლისის №88 სხდომის №6 გადაწყვეტილებით, გამოყენებითი საგრანტო ნომინაციის სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნიკური პოტენციალის განვითარებისა და პერსპექტივების ამსახველი „კრებულის“ გამოცემისათვის გამოყოფილია 25 000 ლარი (ხელმძღვანელი შალვა ნაჭყებია). გამოყოფილი თანხიდან 6 250 ლარის ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს 2015 წლის ბიუჯეტიდან, ხოლო დარჩენილი 18 750 ლარი აისახოს 2016 წლის ბიუჯეტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ელექტრომომწობილობები, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლიდან 6 250 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

7.2. აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 ივნისის №1586 დადგენილებითა და სენატის 2015 წლის 10 ივლისის №87 სხდომის გადაწყვეტილებით გამოყენებითი პროექტისათვის გამოყოფილია 15 000 ლარი. 2015 წლის ბიუჯეტიდან ათვისებულ იქნეს 10 300 ლარი, ხოლო 4 700 ლარი – 2016 წლის იანვარ-თებერვალში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ელექტრომომწობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლიდან 9 390 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; 260 ლარი – საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მომწობილობების შეძენის მუხლში; ხოლო 650 ლარის ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს

არაფინანსური აქტივების ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლიდან;

8. ასევე, დამტკიცდეს სამეცნიერო საგრანტო პროექტებში განსახორციელებელი შიდა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

8.1. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი №AR/102/3-121/14 (ხელმძღვანელი ნ. ნიჟარაძე). მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯებიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში (სარეგისტრაციო გადასახადი);

8.2. საერთაშორისო პროექტი NOGAR №609531 (ხელმძღვანელი ზ. გასიტაშვილი). წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან 401 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში;

9. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და აიოვას უნივერსიტეტთან ამერიკულ-ქართული აგრარული საბაკალავრო პროგრამების პროექტის ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვაში წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან 1 100 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, ხოლო 10 703 ლარი არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში;

ასევე, მივლინების მუხლიდან 11 719 ლარი გადატანილ იქნეს არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში, ხოლო სხვა მანქანა-დანადგარების მუხლიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 2 998 ლარი გადატანილ იქნეს არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში, სულ ჯამში 25 420 ლარი;

10. გაიზარდოს სტუ-ის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლები, კერძოდ: სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავლები გაიზარდოს 662 729 ლარით; იჯარიდან შემოსავლები – 167 615 ლარით; დეპოზიტიდან შემოსავლები – 300 000 ლარით; სულ – 1 130 344 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 1 130 344 ლარით, საიდანაც 15 700 ლარი მიმართულ იქნეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და აიოვას უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადასახდელებზე, ხოლო ხარჯვითი ნაწილი – 1 114 644 ლარი გაიწეროს ხარჯთაღრიცხვის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში, თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

11. სს „საქართველოს რკინიგზას“ და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2013 წლის 18 ოქტომბრის №იუს/13-021 ხელშეკრულებისა და საქართველოს რკინიგზის დირექტორთა საბჭოს 2014 წლის 26 მარტის №23/16 დადგენილების საფუძველზე, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტისა და სამშენებლო ფაკულტეტის, სარკინიგზო ტრანსპორტის მიმართულების მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების

სტიპენდიით უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდეს დაფინანსება 10 000 ლარის ოდენობით.

2014 წელს თანხის ხარჯვითი ნაწილი არ განხორციელებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის სტუ-ის გეგმურ მაჩვენებელში ასახვას ექვემდებარება 10 000 ლარი, გარდამავალი ნაშთის სახით. სტუ-ის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში 10 000 ლარი აისახოს სხვა სახელფასო სტიპენდიების გრაფაში, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს სტიპენდიის მუხლში;

12. 2015 წლის 28 ოქტომბრის №32040304/2015/19 ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გაფორმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროგრამების დეპარტამენტისა და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის ითვალისწინებს „საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლის ხელშეწყობის პროგრამას“ და ქვეპროგრამა „ცოდნის კარის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან“, სომხეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქის 10 სასწავლო თვის განმავლობაში, თითოეული სტუდენტისათვის ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით, უზრუნველყოფის მიზნით სტიპენდიით დაფინანსებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 3 000 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს „საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლის ხელშეწყობის პროგრამით“, სხვა ხარჯების სხვა სახელობითი სტიპენდიის მუხლში.

**სტუ-ის სენატის**

**სპიკერი, პროფესორი**

**ჯემალ გახოკიძე**

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## სენატის

2015 წლის 27 ოქტომბრის 93 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 27 ოქტომბრის 93 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებების შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. კომერციალიზაციის დეპარტამენტს დაემატოს მთავარი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ანაზღაურებით 550 ლარი თვეში; რაც წლის ბოლომდე დარჩენილ 2 თვეში შეადგენს 1 100 ლარს;

2. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის უფროსის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 3 780 ლარით თვეში, რაც წლის ბოლომდე დარჩენილ 2 თვეში შეადგენს 5 920 ლარს;

3. სასწავლო ნაწილის საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრის დირექტორის ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვროს 1 800 ლარით. ასევე, ცენტრს მოაკლდეს უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ანაზღაურებით 500 ლარი და დაემატოს მთავარი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული ანაზღაურებით 550 ლარი.

აღნიშნული ცვლილება იწვევს ცენტრის საშტატო ერთეულების 1 საშტატო ერთეულით გაზრდას და სახელფასო ფონდის მატებას 1 400 ლარით თვეში, რაც წლის ბოლომდე დარჩენილ 2 თვეში შეადგენს 2 800 ლარს;

4. სასწავლო ნაწილში შეიქმნას სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტი, სადაც გათვალისწინებულია ორი ჯგუფის შექმნა: სასწავლო პროცესის ზედამხედველობის სისტემის მართვისა და ექსპლუატაციის ჯგუფი და მეთოდური მუშაობის ჯგუფი.

სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის საშტატო ერთეულები განისაზღვროს შემდეგნაირად: დეპარტამენტის უფროსის 1 საშტატო ერთეული ანაზღაურებით 1 800 ლარი თვეში, ნაცვლად სწავლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 1 საშტატო ერთეულისა ანაზღაურებით 1 100 ლარი თვეში;



სასწავლო პროცესის ზედამხედველობის სისტემის მართვისა და ექსპლუატაციის ჯგუფი განისაზღვროს შემდეგნაირად: ჯგუფის უფროსის 1 სამტატო ერთეული ანაზღაურებით 1 200 ლარი თვეში და მთავარი სპეციალისტის 1 სამტატო ერთეული ანაზღაურებით 550 ლარი თვეში; გაუქმდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინჟინერ-პროგრამისტის 2 სამტატო ერთეული, ჯამური ანაზღაურებით 1 100 ლარი; ხოლო ჯგუფის წევრებად განისაზღვრონ ფაკულტეტების თანამშრომლები, შესაბამისი უნარ-ჩვევებით;

მეთოდური მუშაობის ჯგუფი განისაზღვროს სწავლების დეპარტამენტიდან გადმოსული შემდეგი ერთეულებით: ჯგუფის უფროსის 1 სამტატო ერთეული ანაზღაურებით 900 ლარი, ნაცვლად მთავარი სპეციალისტის 1 სამტატო ერთეულისა ანაზღაურებით 550 ლარი თვეში; მთავარი სპეციალისტის 0,5 სამტატო ერთეული ანაზღაურებით 275 ლარი თვეში და უფროსი სპეციალისტის 1 სამტატო ერთეული ანაზღაურებით 500 ლარი თვეში;

5. გაუქმებულ იქნეს სასწავლო ნაწილის სასწავლო პროცესის ელექტრონული აღრიცხვის კოორდინატორის თანამდებობა - 1 სამტატო ერთეული ანაზღაურებით – 1 100 ლარი თვეში;

6. სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბაზაზე არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი ცენტრის „ერთად“ უფროსის 1 სამტატო ერთეულის ანაზღაურება განისაზღვროს 1 800 ლარით თვეში.

ასევე, „ერთად“ ცენტრი განისაზღვროს შემდეგი სამტატო ერთეულებით: ცენტრის უფროსის მოადგილის 1 სამტატო ერთეული ანაზღაურებით 1 100 ლარი; მთავარი სპეციალისტის 1 სამტატო ერთეული ანაზღაურებით 550 ლარი; სპეციალისტის 1 სამტატო ერთეული ანაზღაურებით 400 ლარი; სულ ჯამში 4 სამტატო ერთეული – 3 850 ლარით თვეში;

7. ფაკულტეტების დეკანის მოადგილის, მენეჯერისა და საგანმანათლებლო პროგრამების კურატორის თანამდებობრივი სარგოები გაიზარდოს შემდეგნაირად: ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ანაზღაურება განისაზღვროს 1 250 ლარით, მენეჯერის ანაზღაურება განისაზღვროს 1 560 ლარით და საგანმანათლებლო პროგრამების კურატორის ანაზღაურება განისაზღვროს 1 150 ლარით.

გაუქმდეს ფაკულტეტების მენეჯერების სახელფასო დანამატი თვეში 460 ლარის ოდენობით და აღნიშნული თანხა ფაკულტეტების ბიუჯეტების და, შესაბამისად, ნაერთი ბიუჯეტის დანამატის მუხლიდან გადატანილ იქნეს თანამდებობრივი სარგოს მუხლში. გადასატანი თანხა 2015 წლის ზემოხსენებულ ბიუჯეტში თითოეული ფაკულტეტისთვის შეადგენს 920 ლარს;

8. დიზაინის საერთაშორისო სკოლის დირექტორის მოადგილეს, სკოლის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, დამატებითი ფუნქციების შეთავსების გათვალისწინებით, განესაზღვროს ყოველთვიური სახელფასო დანამატი 550 ლარის ოდენობით. შესაბამისად, სკოლის

ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 1 100 ლარი გადატანილ იქნეს დანამატის მუხლში.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სენატის  
2015 წლის 27 ოქტომბრის 93 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 27 ოქტომბრის 93 სხდომაზე პროფ. დავით თავხელიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-თან „საზღვაო და სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების სისტემების სასწავლო-სამეცნიერო და საკონსულტაციო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 ივლისის დადგენილება №1639.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „საზღვაო და სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების სისტემების სასწავლო-სამეცნიერო და საკონსულტაციო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 27 ოქტომბრის 93 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 27 ოქტომბრის 93 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის იჯარით გასაცემი ფართობების შესახებ.

სენატმა დაადგინა: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს 5 წლის ვადით, კანონით დადგენილი წესით, იჯარით გასცეს სტუ-ის ფართობები, კერძოდ:

– კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-3 და მე-4 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართულზე არსებული 475 კვ.მ., კვების ობიექტის მოწყობის პირობით;

– კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-3 და მე-4 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართულზე არსებული 141 კვ.მ., კვების ობიექტის მოწყობის პირობით;

– კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-6 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 48 კვ.მ., კვების ობიექტის მოწყობის პირობით;

– კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-6 სასწავლო კორპუსის მეოთხე სართულზე არსებული 41,01 კვ.მ., კვების ობიექტის მოწყობის პირობით;

– კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-6 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 39 კვ.მ., კვების ობიექტის მოწყობის პირობით;

– კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-3 და მე-4 სასწავლო კორპუსის მიმდებარედ (კოსტავას ქუჩის მხრიდან) არსებული 1051 კვ.მ., ღია კვების ობიექტის მოწყობის პირობით;

– კოსტავას ქ. №71-ში მდებარე მე-7 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 100 კვ.მ., საოფისე საქმიანობის მიზნით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სენატის

2015 წლის 27 ოქტომბრის 93 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 27 ოქტომბრის 93 სხდომაზე სტუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფ. ლევან კლიმიაშვილმა წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელ კანდიდატთათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება №1730.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს, თანდართული სიის მიხედვით, აკადემიური საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრის შედეგად ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელ კანდიდატთათვის დადგენილი სარგოს რაოდენობა.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

